ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №779224

ნომერი: AR1143450

თარიღი : 02.07.2013

გაცემის თარიღი : 08.07.2013

გაცნობის თარიღი : 08.07.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გამრეკელი , N 19 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევანი ჯანხოთელი პ/ნ 01012004065
- თბილისი ვარკეთილის მას. IV მ/რ II რიგი კორ. 1 ბ. 9

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია აღნიშნული სამუშაოების განხორციელება, თუმცა შესაბამისი წერილობითი თანხმობის მისაღებად საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

1. სარეკლამო აბრაზე წარწერა შესრულებული უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზემოთ (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტერირებულ) ფორმას. მანათობელი წარწერის შემთხვევაში, ორივე ენაზე შესრულებული (ქართული და უცხოური) წარწერები ერთნაირად უნდა იყოს განათებული
2. საკადასტრო გეგმაზე მონიშნეთ კიბის განთავსების არეალი, ზუსტი ზომების მითითებით, რომელიც შეგიძლიათ ატვირთოთ "დამატებითი დოკუმენტაციის" ველში

გაითვალისწინეთ: იმ შემთხვევაში თუ საპროექტო კიბე მოეწყობა საკადასტრო საზღვრის შიგნით, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე, "საჭიროების შემთხვევაში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის 2/3 თანხმობის" ველში ატვირთული უნდა იყოს ამხანაგობის კრების ოქმი, კიბის მოწყობაზე თანხმობის მიცემის შესახებ, სავალდებულო 2/3 დამსწრე წევრთაგან ნახევარზე მეტის თანხმობით, ხოლო თუ საპროექტო კიბე მოეწყობა საკადასტრო საზღვრის გარეთ თვითმართველი ერთეულის მიწის ნაკვეთზე და თუ საპროექტო კიბის მოშენების ფართი აღემატება 6.00 კვ.მეტრს, წარმოსადგენი იქნება ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა, რომელიც უნდა აიტვირთოს ""ფაილის მიმაგრება" ველში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.